რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 31 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (მეუმრავლესეთა) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 31

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## ამხანაგებო მუშებო, გლეხებო, სალდათებო, ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკნო!

# დამფუძნებელ კრების

## № 5

არჩევნებში მხარი დაუჭირეთ პროლეტარიატის პარტიას, ხმა მიეცით ინტერნაციონალისტ-სოციალდემოკრატების ბალშევიკების სიას

## № 5

### თფილისი 10 ნოემბერი.

თებერვალ-მარტის რევოლიუციამ დაამხო თვითმპყრობელობა და მორიგ საკითხათ წამოაყენა დამფუძნებელი კრების მოწვევა ამ კრებას, რომელიც უნდა შემდგარიყო ხალხის მიერ თავისუფლათ არჩეული და მისი ნდობით აღჭურვილ პირებისაგან, უნდა გადაეწყვიტა ახალი ცხოვრების ძირითადი კითხვები. მას უნდა განემტკიცებია თავისუფლება, ჩამოერთმია მიწა მემამულეთათვის და შეეწყვიტა ხალხის გამანადგურებელი ომი.

მაგრამ ძველ წყობილებაზე რევოლიუციის გამარჯვებით ისარგებლა ბურჟუაზიამ, ჩაიგდო მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება ხელთ და შეადგინა თავისი ბურჟუაზიული მთავრობა. ეს მთავრობა შეეცადა, რაც შეიძლება შორს გადაედვა დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომ შემდეგში ის სულაც აღარც მოეწვია.

რევოლიუციის შემდეგ გავიდა თვეები და ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა, რომელშიაც შედიოდენ მენშევიკ-ესერების წარმომადგენელი სოციალისტი მინისტრები, სულაც არ ფიქრობდა დამფუძნებელი კრების მოწვევას. ამან გამოიწვია ბალშევიკების ხელმძღვანელობით პროლეტარიატის ძლიერი მოძრაობა, რომელმაც იძულებული გახადა ხალხის მტერი მთავრობა გამოეცხადებია დამფუძნებელი კრების მოწვევა. მაგრამ მან გასტეხა თავისი სიტყვა და ერთხელ დანიშნული ვადა რამდენიმე თვით კიდევ გადასდო.

დამფუძნებელი კრების მოწვევის საბოლოვო ვადათ მან დანიშნა ნოემბრის ბოლო რიცხვები. ამავე დროს ის შეეცადა, რომ ეს კრება არ შემდგარიყო. მან მოიწვია თათბირი ბურჟუაზიისა და სხის მონა-მორჩილ მენშევიკ-ესერები წარმომადგენლებისაგან, შექმნა მისგან ეგრედ წოდებული წინასწარ პარლამენტი, რომელიც მოკლებული იყო ყოველივე ძალა-უფლებას და ამ სახით ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობის ნაცვლათ ის დაემყარა მის მონა-მორჩილ უღღეურ წინასწარ პარლამენტზე.

მთავრობა ქვეყანას ეფიცებოდა, რომ ის უეჭველათ მოიწვევდა ვადაზე დამფუძნებელ კრებას და ამავე დროს ის განაგრძობდა ხალხის ღალატს, ქვეყნის გაყიდვის და დაღუპვის მოქმედებას.

მან გადასწყვიტა მტრისთვის დაეთმო რევოლიუციონური პეტროგრადი და თითონ მოსკოვში გადასულიყო. მან გაუხსნა მტერს რიგის ფრონტი და დასაღუპავათ გასწირა ბალტიის ფლოტი, რომელსაც უღალატა ინგლისის ესკადრამ და რომელსაც თავს დაესხა ათჯერ მასზე ძლიერი გერმანიის საზღვაო ძალა. აშკარათ სჩანდა, რომ პეტროგრადის გასრესას ის აპირებდა მტრის ჯარების შემწეობით და შემდეგ იმედი ქონდა, რომ სამუდამო ბორკილებს დაადებდა მთელ ქვეყანას. მთავრობამ აშკარა იერიში მიიტანა მუშების, სალდათების და გლეხების საბჭოებზე, რომლებიც დარაჯათ უდგანან რევოლიუციას და წარმოადგენენ მის უძლიერეს ციხე-სიმაგრეს. მთავრობამ გარეკა კალუგის მუშათა საბჭო, დახვრიტა მისი წევრები და ასეთსავე დღეს უმზადებდა სხვა საბჭოებსაც.

აშკარათ სჩანდა, რომ ასეთი მოღალატეობრივი პოლიტიკის მთავრობა ან არ მოიწვევდა დამფუძნებელ კრებას, ან თუ მაინც მოიწვევდა, მას დაუყონებლივ გარეკავდა, როგორც კი ის მთავრობის წინააღმდეგ წავიდოდა. დამფუძნებელი კრების და მთელი რევოლიუციის ბედი საფრთხეში იყო. მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული მთელი კონტრ-რევოლიუციონური ძალა ბურჟუაზიული მთავრობის მეთაურობით.

პეტროგრადის პროლეტარიატმა გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და კონტრ-რევოლიუციის თავდასხმას შესაფერი პასუხი გასცა. მან ჯართან ერთათ ბალშევიკების მეთაურობით დაამხო მოღალატე კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა და მთელი ძალა-უფლება გადასცა საბჭოებს, რომელთაც შეადგინეს ახალი რევოლიუციონური მთავრობა, მუშების და გლეხების მთავრობა, რომელიც თავდადებულათ ემსახურება მუშების და გლეხების ინტერესებს და შეუპოვრათ ებრძვის ხალხის მტერს—ბურჟუაზიას.

რევოლიუციის ფხიზელმა დარაჯმა, ხალხის ინტერესების ერთგულმა დამცველმა ახალმა მთავრობამ ხელთ აიღო დამფუძნებელი კრების ბედი და გამოაცხადა, რომ არჩევნები აუცილებლათ უნდა მოხდეს დანიშნულ დროზე, 12 ნოემბერს. მან წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობებს, მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებს, ფრონტზე სალდათების ორგანიზაციებს —მიიღონ ყოველი ღონისძიება, რომ აგიტაციის თავისუფლება უზრუნველყოფილ იქნას და დამფუძნებელ კრების არჩევნები წესიერათ ჩატარდეს.

დამფუძნებელი კრების მოწვევა ახალი მთავრობის მიერ უზრუნველყოფილია.

12 ნოემბერს მთელი რუსეთის სივრცეზე დაიწყება დამფუძნებელი კრების არჩევნები. ყველა კლასი და პარტია ცდილობს მეტი წარმომადგენელი გაიყვანოს დამფუძნებელ კრებაში და მით თავისი გავლენა გააძლიეროს.

---

### რუსეთიდან ჩამოშორება?

სწორეთ ასე აყენებენ საკითხს მენშევიკები გაზ. „ერთობაში". ან კი რა ქნან? რუსეთში მუშების და გლეხების რევოლიუცია იმარჯვებს, უკვე შესდგა მუშების და გლეხების მთავრობა, რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ბურჟუაზიას და ყველა ამ ქვეყნის ძლიერთ, გაწყდა ყოველივე კავშირი ბურჟუაზიასთან, რომელსაც ასე ელოლიავებოდენ და ფეხქვეშ ეგებოდენ მენშევიკები. „ქვეყანა იღუპება!"—ისტერიულათ გაკივის ბურჟუაზია, თუმცა კარგათ ხედავს, რომ იღუპება მხოლოთ ბურჟუაზიის ბატონობა და ქვეყანა კი მხოლოთ ახლა გამოდის ხსნის გზაზე. „ქვეყანა განსაცდელშია", — აცხადებენ მენშევიკები, რომელთაც გადასდებიათ ბურჟუაზიის შიში და აკანკალებულნი აქეთ-იქით აწყდებიან, გამოსავალს ეძებენ.

რომ მენშევიკები მხარს ვერ დაუჭერენ რუსეთის რევოლიუციას, ეს მათ საქვეყნოთ აღიარეს. მაშ რა დარჩენიათ? რუსეთიდან ჩამოშორება, საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა. ისინი სწერენ:

„დღეს ჩვენ იმდენათ მოღონიერებული ვართ, რომ პოლიტიკურათ კიდევ შეგვიძლია საკუთარ ფეხზე დადგომა".

მერე რა გაწუხებთ? ხომ იცით, რომ დღევანდელი თქვენგან ათვალწუნებული მთავრობა ერთა თვითგამორკვევის უფლების მომხრეა? თუ კერენსკის მთავრობას ვერაფერს უბედავდით და რაღაც ნაციონალური პოლკების ნებართვას მუხლმოდრეკილი ემუდარებოდით, ახლა ხომ სულ სხვანაირათ არის საქმე? კითხეთ ერს, კითხეთ კავკასიას და თუ მოისურვებს გამოყოფას, წინ რა უდგია? აგისრულდებათ თქვენი დიდი ხნის იდუმალი ნატვრაც ქართველი ერის დამოუკიდებლობაზე, რომელიც თქვენ ყველა ნაციონალისტურ პარტიებთან გაახლოვებდათ. თქვენი აზრით, ხომ აქაური დემოკრატია უფრო მაღლა დგას რუსეთისაზე, და მისი ბელადობა და ხელმძღვანელობა შეუძლია. მაშ რათ უნდა დაემორჩილოს დაწინაურებული უკან ჩამორჩენილს?

მენშევიკები მაინც ვერ ბედავენ. რატომ?

„მაგრამ ეკონომიურათ ჩვენ არაობას წარმოვადგენთო" — აცხადებენ ისინი. ეკონომიურათ არარაობა, ხოლო პოლიტიკური ძლიერება—როგორ მოგწონთ ეკონომიკის და პოლიტიკის ასეთი ურთიერთობა, მათი ასეთი დაპირდაპირება მარქსისტის მხრით.

„ჩვენ იმ თავიდანვე რუსეთის პურით ვიკვებებოდით. საკმაოა რამდენიმე დღით შეწყდეს რუსეთიდან პურის გზავნა, რომ შიმშილობის მსხვერპლი შევიქნეთ".

თუ არა პური, სხვა არაფერი მოაგონებდათ მენშევიკებს რუსეთის რევოლიუციას. ახლა კი „მდგომარეობა კრიტიკულიაო" აცხადებენ ისინი და იცით რა გამოსავალს პოულობენ? აი ყური დაუგდეთ;

„ჩვენი მოვალეობაა ვიხსნათ რუსეთი დაღუპვისაგან, თორემ თუ რუსეთი დაილუპა, ჩვენც ადვილათ თან ჩაგვიტანს".

თურმე იმიტომ იღუპება რუსეთი, რომ იქ ბალშევიკებმა ჩაიგდეს ხელთ სახელმწიფო ძალა-უფლება. ისინი სასტიკ ბრძოლას უცხადებენ ბურჟუაზიას; ბურჟუაზიას რასაკვირველია, ეს არაფრათ მოსწონს და ასეთ მდგომარეობას ანარქიას ეძახის. მენშევიკებიც ამ ჭკუაზე არიან და „სერიოზნათ" ფიქრობენ რუსეთის დახსნას. „ანარქია ძლიერდება, ხელი შეუწყოთ მის მოსპობას".

# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას, მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

## გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა მმობას!

ბოლშევიკების მოსპობას არა ერთხელ ცდილან მენშევიკები და ახლაც არ ეძრახებათ თუ მთელ ბურჟუაზიასთან ერთათ ჯვაროსანთა ომს გამოაცხადებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ვთქვათ, მათ მიაღწიეს თავის მიზანს და ბოლშევიკები მოსპეს, ახალი მთავრობა დააზხეს ბურჟუაზიის გასახარელათ. რას გვპირდებიან მის მაგიერს, რა უნდა დაამყარონ ბოლშევიკების ნანგრევებზე?

„მთლიანი, ძლიერი რუსეთი—აი რა გვიხსნის ჩვენ და უზრუნველ ყოფს ჩვენში ყოველგვარ თავისუფლებას“.

რით განირჩევა ეს ლოზუნგი ყველა შავრაზმულ და იმპერიალისტურ მისწრაფებიდან? „მთლიანი ძლიერი რუსეთი“ ეს პურიშკევიჩის, როდზიანკოს და მილიუკოვის ლოზუნგი თავის პროგრამათ გამოაცხადეს მენშევიკებმა. სხვანაირათ არც შეიძლებოდა. ვინც იზიარებს ბურჟუაზიის სოციალურ ეკონომიურ პროგრამას, ის უნდა დაეხმაროს მას მის იმპერიალისტურ—პოლიტიკურ მიზნების განხორციელებაშიაც. ბოლშევიკებმა მუშების და გლეხების მთავრობა დაამყარეს უნდა მოეწყოს მუშების და გლეხების სახელმწიფო; ამას ებრძვის ბურჟუაზია და ცდილობს ძველი წყობილება აღადგინოს, ჩინოვნიკურ პოლიციური სახელმწიფო გაამაგროს, რომ ძველებურათ ატყავოს ხალხი. სჩაგროს ერები, უზრუნველყოს თავისი ბატონობა. ამაში ეხმარებიან მას მენშევიკები.

„ეს მოგვანიჭებს ყოველგვარ თავისუფლებასო.“ სხვას ნურავის გაუნაწილებთ მაგ თავისუფლებას, საკუთრათ მოიხმარეთ.

უნდა გავბედოთ და ერთი სამწუხარო ამბავი ვაუწყოთ მენშევიკებს. „მთლიანი ძლიერი რუსეთი“, რომელსაც ისინი მთელ ბურჟუაზიასთან ერთათ ეტრფიან, დაირღვა და იმედია, აღარც როდის აღსდგება, მის ადგილს იჭერს მუშების და გლეხების ახალი რუსეთი, რომელიც მიუხედავათ იმპერიალისტურ, ნაციონალისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა,

დაამყარებს სრულ თანასწორობას, როგორც მოქალაქობრივს ისე ეროვნულს და არა მარტო კავკასიის ერებს შემოიკრებს თავის გარშემო, მიუხედავათ ყოველგვარ ნაციონალისტთა ფაფხურისა, ის ყველა ქვეყნებში დაანთებს ბრძოლის ცეცხლს, რომელიც ბოლოს მოუღებს ძველ დამყაყებულ ცხოვრებას და გზას გაუხსნის კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალს.

თქვენ კი, კარგათ შეინახეთ თქვენი ახალი ლოზუნგი მთლიანი, ძლიერი რუსეთისა და ეცადეთ არაფერში ჩამორჩეთ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

## მენშევიკების საარჩევნო ფანდები *)

მენშევიკების მოწოდება აკრიტიკებს სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას. მათ წვრილ ბურჟუაზიულ და რეაქციონურ უტოპიურ აგრარულ პროგრამას და სამართლიანათ უწოდებს მათ „მარტის“ რევოლიუციონერებს, მარა უბედურება ის არის, რომ ავტორონი ამ შემთხვევაშიც ერთ დიდმნიშვნელოვან სიმართლეს უმალავენ გულ-უბრყვილო მკითხველებს, სახელდობრ: მთელი რვა თვის გამავლობაში ჩვენ რევოლიუციის სათავეში ედგა, მმართველ პარტიის როლს თამაშობდა მენშევიკების და ესერებს ობორონცული ბლოკი, რომელმაც დაღუპვის კარამდე მიიყვანა რევოლიუცია· იმპერიალისტების გავლენით ივნისში შეტევაზე გადასვლა, კორნილოვის გამოლაშქრება, კონტრ-რევოლიუციის გაძლიერება და დღევანდელი გააფთრებული მოქალაქობრივი ომი გამოიწვია ამ ბლოკის ობორონცულმა პოლიტიკამ, პოლიტიკამ რყევისა და ღალატისა. ამიტომ ვინც უარყოფს და გმობს ესერების პროგრამა-ტაქტიკას ჩვენს რევოლიუციაში, იმან უნდა დაგმოს მენშევიკების პროგრამა-ტაქტიკა, ვინაიდან ეს ორი პარტია ერთ მთლიან და განუყოფელ ბანაკს წარმოადგენდენ.

როცა მოწოდება ამბობს, რომ „შავბნელ რეაქციის დროს მენშევიკების პარტია სათავეში ედგა მოძრაობასო“, ის ამბობს მტკნარ სიცრუეს, ვინაიდან ცნობილია, რომ მენშევიკებმა რეაქციის დროს ზურგი შეაქციეს ჩვენს პარტიას, გახდენ ლიკვიდატორებათ, სტოლიპინის პარტიათ, რომელმაც თავის დროშაზე დააწერა: ძირს არალეგალური, ე. ი. რევოლიუციონური მუშაობა, გაუმარჯოს სტოლიპინის რეჟიმის ფეგუებას, ლეგალურ (ნებადართულ) ჩხირკედელაობას და უპრინციპობას.

მოწოდება ამბობს: „როცა ხალხმა და ჯარმა მეფობა დაამხო, ჩვენი პარტია სათავეში ჩაუდგა მთელ მოძრაობასო“ ეს მართალია, მარა მაგარიც ის არის, რომ ასეთი სამწუხარო ფაქტი (ობორონცების მეთაურობა) ავტორთ სასიხარულო და სანაქებო საქმეთ გამოაქვთ!

მოწოდება დიდი რიხით გვპირდება ზავის დაუყოვნებლივ ჩამოგდებას დამფუძნებელი კრების საშვალებით. იგი შავი საღებავით აგვიწერს ომის საშინელებას და დასძენს: „დემოკრატიას არ შეუძლია უმ ნკო სისხლი ღვაროს იმპერიალისტთა ჯიბის გასასუქებლათო“.

კეთილი და პატიოსანი, მარა ერთი გვიბრძანეთ: რით აიხსნება ის, რომ გუშინდელ ობორონცებმა, ერთგულმა ლაქიებმა იმპერიალისტური ბურჟუაზიის, დღეს ასე უეცრათ იცვალეს ფრონტი და ინტერნაციონალისტური ენით ლაპარაკობენ? ალბათ იმიტომ, რომ დღეს ისინიც კი გრძნობენ უამ ლოზუნგოთ ხალხში გასავალი არ ექნებათ და ამიტომაც ასე ე ლ უქებიან მას. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ობორონცების რვა თვის პოზიციამ სრული სიკოტრე განიცადა.

მარა „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“: მენშევიკებს რაც უნდა ლამაზათ ქარგონ და კაზმონ თავის დაპირება, მაინც არ შეუძლიათ აწარმოონ ზავის ნამდვილი, მარქსისტულ ინტერნაციონალისტური პოლიტიკა.

მოწოდება გვპირდება მიწის და მუშათა საკითხების რადიკალურათ გადაწყვეტას დამფუძნებელ კრებაზე მარა ჩვენ, ჩვენი რევოლიუციის მოკლე ისტორიიდანაც კარგათ ვიცით, რომ მენშევიკესერების ბლოკმა, პირდაპირ გასცა როგორც მუშების, ისე გლეხების ინტერესები. ეს კლასები ამის შემდეგ ვეღარ ენდობიან ამ პარტიებს.

ნაციონალურ კითხვის შესახებ მოწოდება ამბობს: „ჩვენი პარტია მხარს დაუჭერს დაჩაგრულ ერთა ყველა სამართლიან მოთხოვნებსო“. ეს ნიშნავს ერთა თვითგამორკვევის სრულიათ უარყოფას, ვინაიდან თვითგამორკვევის პრინციპი აღიარებს ერის უზენაეს უფლების, თავის ბედი გადასწყვიტოს ისე, როგორც მას უნდა, მიუხედავათ იმისა, სამართლიანათ ცნობს ერის ასეთ ნაბიჯს რომელიმე პარტია თუ არა.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ყალბი ადგილი ამ საინტერესო დოკუმენტიდან: „ის (მენშევიკების პარტია) სათავეში იდგა და დღესაც უდგია რუსეთის რევოლიუციასო“. მართალია, როგორც არა ერთხელ მოვიხსენიეთ, დღევანდლამდე მენშევიკები, სამწუხაროთ, სათავეში ედგენ რევოლიუციას, მარა დღეს კი რუსეთის ხალხმა პროლეტარიატის მეთაურობით ზურგი შეაქცია მენშევიკესერებს და მიეკედლა ბოლშევიკების დროშას, რაც მოასწავებს რევოლიუციის სრული გამარჯვებით დაგვირგვინებას.

დასკვნა: მენშევიკების პარტია ვერ მივცემს ხალხს ვერც ზავს, ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას, ამ ლოზუნგების ცხოვრებაში გატარება შეუძლია მხოლოთ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას—ბოლშევიკებს.

მაშ არც ერთი ხმა მუშების, სალდათების და გლეხების—მენშევიკებს, ყველამ მხარი უნდა დაუჭიროს ბოლშევიკებს.

თედორე.

*) იხ. „ბრძოლა“ № 30.

---

## გატიტვლდნენ.

რუსეთის პროლეტარიატი გამარჯვებას გამარჯვებაზედ დღესასწაულობს. წითელი პეტერბურგის შემდეგ, შავრაზმელებმა სცადეს მოსკოვში გამაგრებულიყვნენ და იქიდგან მიეტანათ სასიკვდილო იერიში პროლეტარიატზედ, მაგრამ პროლეტარიატმა არ დააყოვნა, და ორი-სამი დღის სასტიკი ბრძოლის შემდეგ, ისინი სასტიკათ დაამარცხა. მოსკოვის შემდეგ ჩვენ ვხედავთ თუ პროლეტარული რევოლიუციის ნაპერწკლები, როგორ ინადგურებს ბურჟუაზიის ბუნაგს სხვა და სხვა რუსეთის სამრეწველო დიდ ქალაქებში. ბაქო, კიევი, ცარიცინი, რეველი და სხვა ქალაქებს მთელი რიგი უკვე პროლეტარიატის ხელშია. სასტიკი ბრძოლაა ქ. ყაზანში და როგორც იტყობინებიან, მახვერპლიც აურაცხელია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როგორც სხვაგან, აქაც სიმართლე გამოვა გამარჯვებული და დემოკრატიის მოღალატენა აუცილებლათ დამარცხდებიან.

რყევის და ორ სკამზედ ჯდომის პოლიტიკა დღეს უკვე დამთავრებულია, დღეის შემდეგ ჩვენ გვექნება საქმე ორ მოპირდაპირე კლასთან, რომლებიც თავიდგან ფეხამდის შეიარაღებულნი შეუბრალებელ ბრძოლას აწარმოებენ. დღეიდგან, ვინც ორჭოფობას და ორგვარ პოლიტიკას ადგა, უკვე მონახეს გარკვეული გზა, და ზოგი პროლეტარიატს ამოუდგა გვერდში და ზოგიც თავისი ბარგი-ბარხანით გადაბარგდა რევოლიუციის მოსისხლე მტერთა ბანაკში. ბევრისათვის ეს მოვლენა სამწუხაროა, მაგრამ პროლეტარიატის პარტიამ ეს არ უნდა ინანოს, რადგან დღეიდგან მას ექნება საქმე არა მოყვრის ქურქში გახვეულ მტერთან, არამედ ნიღაბ ახდილ მოღალატეებთან და მუშათა კლასი შესძლებს უფრო ადვილათ დაამარცხოს გამოცხადებული მტერი, ვიდრე სოციალისტურ სამოსელში გამოწყობილი გამყიდველები.

ჩვენი მენშევიკ-ობორონცების ფიზიონომია დღეს გამორკვეულია უკვე. ბევრი რყევის, წაჯიქ უკუჯიქობის შემდეგ ისინი თან და თან ერკვევიან და ნათლათ გვანახებენ თუ როგორ სცილდებიან მუშათა კლასს, და ბურჟუაზიისაკენ მარჯვნით მიექანებიან. მართალია, ამ რვა თვის განმავლობაში მათმა ლიდერებმა მრავალჯერი გზატკეცილი გააკეთეს პროლეტარიატის ბურჟუაზიასთან შესაერთებლათ, მაგრამ თუ ასე ჩქარა ჩამოიხსნიდნენ ნიღაბს, ეს არ იყო მოსალოდნელი. საკმაროა თვალი გადაავლოთ გაზ. „ერთობის“ უკანასკნელ ნომრებს, რომ ამაში დარწმუნდეთ. ეს ვაჟბატონები, დღეს, როდესაც პროლეტარიატმა მოღალატე კერენსკის მთავრობის ნანგრევებზედ ხალხის ნამდვილი მთავრობა შექმნა, გამოდგარან და ბუკსა და ნაღარას უკრავენ, რომ ეს არ არის ნამდვილი ხალხის ინტერესების გამომხატველი, ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობაო, ეს ანარქისტ ბლანკისტების მთავრობა არისო, და ეს მთავრობა მალე ჩაილულის წყალს დალევსო. ერთი სიტყვით უნდათ რამენაირათ სახელი გაუტეხონ პროლეტარიატის მთავრობას და აღადგინონ ისევ გამყიდველი „კოალიციონური მთავრობა“, მართალია ისინი ბევრს ლაპარაკობენ „ერთფეროვან დემოკრატიულ მთავრობაზედ.“ მაგრამ მწარე გამოცდილების შემდეგ პროლეტარიატისათვის ნათელია, რომ ამ „ერთფეროვან დემოკრატიულ მთავრობაში“ ისინი სიამოვნებით შემოიყვანენ სმირნოვებს და ტრეტიაკოვებს, რაც ამ ვაჟბატონებმა არა ერთხელ დაამტკიცეს. მენშევიკ ობორონცების პოზიცია დღეს უკვე სავსებით გამორკვეულია, დღეს ბრმისთვისაც ნათელია, რომ მენშევიკები და ს. რევოლიუციონერები კადეტებზე არა ნაკლებ მემარჯვენეები არიან, და თუ ვისმეს ეჭვი შეეპაროს ამაში აიღოს და შეადაროს მათი ორგანოები, „ერთობა“-„ბორბა“ „კავკასკოე სლოვო“ „ზემლია ი ვოლია“ და სხ. ბურჟუაზიულ კადეტურ გაზეთებს „რუსსკაია ვოლია“ „რუსსკოე სლოვო“ „რეჩ“ და სხვ. და დარწმუნდება, რომ მენშევიკებმა კიდეც გაასწრეს მათ და უფრო მარჯვნით მიექცნენ. ბევრისათვის ეს გასაკვირი იქნება, როგორ შეიძლება პროლეტარულმა პარტიამ ეს ჩაიდინოსო. მაგრამ ჩვენთვის ეს დიდი ხანია, ცხადი იყო.

იმ პარტიამ, რომელმაც ხელი კრა ნამდვილ პროლეტარიატის ინტერესების დამცველს მ. ცხაკაიას კანდიდატურას და მის მაგივრათ შოვენისტობით გამქვავებული დაშნაკცაკანებისათვის, იმ პარტიას, რომელმაც რამოდენიმე წლების მოღვაწე ინტერნაციონალისტი სოციალისტები პროვოკატორებათ მონათლა და გერმანიის შტაბის აგენტებათ დასა-

ხა, იმ პარტიამ, რომელმაც მასსის ჩუმათ და დაუკითხავ თ დაარსა ინტერპარტიული საბჭო, სადაც შეთანხმებას აწყობდნენ პროლეტარიატის დაუძინებელ მტრებთან—ნაც. დემოკრატებთან და შოვინიზმით გაჟღენთილ ფედერალისტებთან, იმ პარტიამ, რომელმაც ხელი გაუშვა ინტერნაციონალურ დროშას და მთელი რუსეთის მუშებს მოწოდებით მიმართა შეურიგდით ბურჟუაზიასო, უკანასკნელათ ამ პარტიას მზაკვრულათ უნდა მიეტოვებინა პროლეტარიატი ბრძოლის ველზედ კალედინების გასასრესათ.

რუსეთის პროლეტარიატმა და გალატაკებულმა გლეხკაცობამ უკვე შეიგნო მენშევიკების ღალატი და მათ დიდი ხანია ზურგი შეაქციეს. მენშევიკ-ობორონცების და ს. რევოლიუციონერების ბელადები დღეს მოგვაგონებენ გენერლებს უჯარისკაცოთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ პატარა ჯგუფს, რომლებიც ტრადიციულათ შეჩვევიან თავის ბელადებს და ვერ ბედავენ ჩამოშორდნენ მათ. ჯერი მიდგა დღეს კავკასიის პროლეტარიატზედ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასიის მშრომელი კლასიც ამოუდგება გვერდ ძი აბობოქრებულ რუსეთის პროლეტარიატს და მიიღებს მისგან გამოწვდილ ინტერნაციონალურ დროშას რაზედაც პროლეტარიატის სისხლით წითლათ აწერია დიდ ასოებით: პური, ზავი და თავისუფლება.

ილიკო პაპავა.

# მუშათა წერილები

ჩვენებური „მენშევიკ-ობორონცების" დღევანდელი მდგომარეობა წააგავს იმ მხარ-ქცეულის ყოფაქცევას, რომელიც გზას აცდენია და მიდის სრულებით სხვა მხრისკენ მანამ გონს არ მოვა და თავის შეცდომას არ მიხვდება. ხან და ხან ჩვენი ყოფილი ამხანაგებიც თავს დაეკითხებიან, ჩვენც ხომ არ დავიბენითო და უცებ პირს იბრუნებენ სოციალიზმისკენ. უკან მოიხედავენ და თუ დაინახეს, რომ ვინმე მათ ტაშს უკრავს, ისევ განაგრძობენ თავიანთ დაბნეულ გზას.

ვის არ ახსოვს ის „ბედნიერი" დღეები, როდესაც ბურჟუაზიამ რევოლიუციონური პროლეტარიატის პარტიას. სამშობლოს ღალატი, გერმანიისაგ ნ ფულის აღება და მათ აგენტობა დასწამა. მაშინ „ობორონცების" ლაგერს გაფრენის მეტი არაფერი აკლდა. მათ საიდგანღ ც ეს ამბები კიდეც „დაამტკიცეს" თავიანთ პარტიული ორგანოს ფურცლებზე გულმოდგინეთ ბეჭდავდენ ბურჟუაზიული გაზეთებიდან ყოველივე ცრუ ამბებს ბოლშევიკების წინააღმდეგ და მით მკითხველ საზოგადოებას გონებას უბნევდნენ. მაგრამ, დროთა მსვლელობაში გარემოებანი იცვალა, მათი კოალიციონური პოლიტიკით ხალხმა ვერაფერი მიიღო და ის, იმედ გაცრუებული თანდათ ნ შორდებოდა მათ ბანაკს და ბოლშევიკებს ეკედლებოდა. ეს მათ გაკოტრებას ნიშნავდა და ისინიც ყოველ ღონ ს ხმარობდენ, რომ ხალხი კიდევ შეეჩერებიათ მათთან, კორნილოვის გამოსვლამ კი სრულებით გამოაცალა მათ ნიადაგი. უმთავრესი ცენტრების საბჭოები ბოლშევიკებს მიემხრნენ. დაინახეს თუ არა თავიანთი უბედურება, საბჭოების გაუქმება პირდაპირ ვერ გაბედეს, რადგან ც ეს ხალხში მღელვარებას გამოიწვევდა, სამაგიეროთ დემოკრატიული თათბირი შემოაპარეს და მერმეთ საბჭოებს დაუწყეს ცემა—მათი მთელი რუსეთი მ. და ს. საბჭოების ცენტრალური კომიტეტის ორგანოს ფურცლებიდან. საბჭოებმა უკვე შეასრულა თავისი როლიო და სხ.

საბჭოების სიეზდის ნაცვლად მათ შეადგინეს პრედპარლამენტი და შიგ არხეინათ მოიკალათეს.

ოცდა სამ ოქტომბერს ა. ლ—ძემ აჭქალის აუდიტორიაში ლექცია წაიკითხა, სადაც უფრო დარბისლურათ შეეხო ბალშევიკების და მისი ხელმძღვანელი ამხ. ლენინის აზრს, ის უწინდელი პროვოკატორი (?) ლენინი თურმე დღეს მისი ამხანაგი გამხდარა, მისი აზრი ლექტორს ყველაფრამდის მოსწონს. მაგრამ რა ქნას, არ უნდა მოშორდეს კაპიტალიზმის ჩარჩოებს. ისეთი პირობები, რომელსაც ბალშევიკები მოითხოვდნენ ამხ. ლენინის მეთაურობით, ისეთი პოლიტიკური მართვა-გამგეობა, სადაც პროლეტარიატს და მშრომელ ხალხს თავისუფლად შეეძლება მოემზადოს მომავალ სოციალისტურ წყობილებში გადასასვლელათ, მან ნაადრევათ გამოაცხადა და ხალხის იმედები პრედპარლამენტს მიაპყრო. როდესაც შეეკითხენ თუ რას ნიშნავდა პრედპარლამენტი მან უპასუხა: როდესაც დემოკრატიული თათბირი მოიწვიეს პეტროგრადში, მან აირჩია რამოდენიმე პირები, რომელსაც უნდა შეედგინა მთავრობა. ამას დაერქვა პრედპარლამენტა, რომელსაც დამფუძნებელ კრებამდი ხალხი უნდა მშვიდობიანათ მიეყვანა.

თვით პრედპარლამენტი კი დაახასიათა: როდესაც ამ თათბირზე ჩვენ „არწივს" ჩხეიძეს შეეკითხენ, თუ რას ნიშნავს პრედპარლამენტი, იმან უპასუხა: მეცხვარემ ძრიელ სუსხიანი და ავი ზამთარი დ ნ ისე გაიყვანა თავისი ცხვრები, რომ მას ერთი ცხვარიც არ დაკლებია და მარტის დამლევ რიცხვებში დაიტრაბახა: აწი არა მიშავს რაო ერთი ცხვარიც ვერ დამაკლო ზამთარმაო. მაგრამ ნახეთ უბედურებას! გაიგო თუ არა მარტმა მეცხვარის ტრაბახი, მაშინვე გაიქცა აპრილითან და სესხათ სამი დღე სთხოვა. სესხათ მისცა მან სამი დღე. მარტმა დაიწყო თავისებურათ ცუდი სუსხიანი ამინდები, რომ მეცხვარისთვის შიმშილით ცხვარი დაეხოცა. მაგრამ მოხერხებულმა მეცხვარემ სხვა ზომას მიმართა, დაამწყვდია გუდაში კატა და ჩამოკიდა ჭერზე. კ ტ მ დაიწყო გუდაში ხტუნვა და შეშინეაულმა ცხვრებმაც გუდას მიაპყრეს მთელი გულის ყური და მით მეცხვარემ ცხვარის ფარა მთლიანად გადაარჩინა, გაიყვანა მარტის ნასესხებ სუსხიან დღეებს.

აი მენშევიკების ოინები, რომ ხალხი მიატყვილონ და მით თავიანთი ბატონობა შეინარჩუნონ ყოველგან.

გუდაში ჩამწყვდეული კატა ამხანაგებო, არის მენშევიკების—„არწივები" ჩხეიძე წერეთლისაგან მოწვეული პრედპარლამენტი, რომელთაც საბჭოებს გამოუთხარეს ძირი. ცხვარი კი, თქვენ ხართ მშრომელო ხალხო, რომლის კისერზედაც სხედან ერთი მუჭა პარაზიტები, რომლებიც უქმათ ატარებენ თავიანთ დღეებს და თქვენი შრომისაგან შექმნილი სიმდიდრის გ ფლანგვის მეტს არაფერს აკეთებენ. მეცხვარე კი, არიან მენშევიკები, რომლებმაც გუდაში კატა (პრედპარლამენტი) დაამწყვდიეს და ჭერზე ჩამოკიდეს, რითაც ცხვრებს (ხალხს) ატყვილებდენ იმ ვითომდა ხალხის წარმომადგენლების(!!) სუროგატით. ჩვენ ყოფილ სოციალისტებს კი ის უპირატესობა აქვს იმ მხარ-ქცეულთან, რომელიც ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ მხარქცეული, როცა შეცდომას მიხვდება, გონს მოდის და ბოლოს თავის გზას მაინც მონახავს და ჩვენი მენშევიკები კი შეგნებულათ დაიბნენ და განაგრძობენ თავიანთ ანტისოციალისტურ პოლიტიკას. სოციალისტის სახელს კი ატარებენ.

გეყოფათ ბ. ბ. რაც ატყუილეთ მშრომელი ხალხი, აწი დროა ნიღაბი ჩამოიხადოთ, მინამ ხალხი მას მისი ხელით ჩამოგგლეჯდეთ.

ბ. პროლეტარი.

## ბრძოლა.

ცეცხლი აინთო, ცეცხლი ბრძოლისა,
ძველ ქვეყანასა ალი ედება,
ტახტი დაიწვა თვითმპყრობელობის
და ძველი კოშკი ნაცარმტვერდება.

ისმის სიმღერა თავგანწირულთა,
„შრომის შვილებო,მტრებს შეებრძოლეთ,
არ შედრკეთ, წინ, წინ მედგრათ გასწიეთ,
და მტრების სისხლით ქვეყანა მორწყეთ".

გაკაჟებულ გულს ბრძოლა სწადია,
ძველი ქვეყანა უნდა დაამხოს,
და ნანგრევებზე ახალი ქვეყნის
ახალი კოშკი მტკიცეთ ააგოს..

ხანდრო გურული.

* * *

თვით მოსისხლე მტერს მოხიბლავს
წითელ რაზმის რაინდობა,
თავგანწირულ ბრძოლის ნიჭი,
ვაჟკაცური გულადობა.

იგი მედგრად ანადგურებს
ათას წლობით ნაშენ ბორკილს;
მეც შევსცქერი, ზიზღით სავსე,
მტარვალების ტახტს დამხობილს.

საბოლოვოთ უნდა მოკვდეს
უსამართლო ძველი წესი,
ძლევა-მოსილ მტარვალთაგან
მუშათათვის დანაწესი.

მაშ გასწი წინ მედგრად, მუშავ,
ნუ დაიხევ, ნუ შედრკები,
ნუ ინაღვლებ, ბრძოლის ველზე
სიმართლისთვის თუ მოკვდები.

ვარლამ ჩლაიძე.

# მუშათა შორის.

თფ. სა ქონლის სადგური.

3 ნოემბერს შესდგა ადგილობრივი მუშათა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 200-დე კაცი; კრების საგანი იყო დღევანდელი სიძვირე და მასთან დაკავშირებული კითხვები. ამას წინეთ მთელი რუსეთის რკინის გზის ცენტ. კომ, მოწოდებას (გაფიცვის) შესახებ მუშები უარ ყოფით შეხვდნენ, მით უმეტეს, რომ იყო მოწოდებები ყველა სოციალისტური ორგანოებიდან და აგრეთვე დრ. მთავრობისგანაც, რომ მუშაობა არ შეეჩერებიათ მუშებს, რადგან ამ მოკლე ხანში დაკმაყოფილდება მუშების ეკონომიური მოთხოვნილებაო. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა და იმის ს მ გიეროდ, რომ მუშათა მოთხოვნილება დაეკმაყოფილებიათ, ყველა უმაღლეს სამსახურზე მდგომ მოსამსახურეებს მიუმატეს ჯამაგირები (ეს ძველათაც ასე ხდებოდა), და მუშების რიცხვის ნახევარ ნ წლის მოაკლეს ჯამაგირიდან 8 მან, ხოლო დ ნარჩენ ნახევარ ნ წილს მ უმატეს 7 მან., რაც დიდ უკმაყოფილობას იწვევს მუშათა შორის, და სწორეთ ამიტომ შეიკრიბა ხსენებული კრება, რომ რაიმე საშვალება გამონახათ თავიანთი უმწეო და უბედური მდგომარეობიდან გამოსასვლელათ. მაგრამ ეს კითხვები ამ. ცინცაძემ გადაიტანა ფრაქციულ დებატებზე, (ეს იმიტომ რომ ერთი ამხანაგი შეეხო დრ. მთავრობას და აგრეთვე მინისტრ-სოციალისტების მოქმედობას, აღნიშნა რომ ხსენებულმა პირებმა უნუგეშოდ დასტოვეს ყოველივე მუშათა საკითხი ამ 8 თვის რევოლიუცის მიმდინარეობაში.) და ამიტომ იყო გულ მოსულმა ცინცაბაძემ დაიცვა ყოფილი დროებითი მთავრობა და სოციალისტი მინისტრები. ამ. ცინცაბაძე შეეხო რუსეთის რევოლიუციას და სთქვა, რომ რუსეთის რევოლიუციას წინ უძღვის კავკასია, რუსეთის რევოლიუციის ხელმძღვანელი მხოლოდ ერთად ერთი კავკასია არის, და ამავე დროს ამბობს რომ რუსეთის პროლეტარიატი არის რუსეთის რევოლიუციის ავანგარდიო, (რაც თავისთავად ცხადია), ძლიერ მიკვირს, რომ ერთსაც ამბობს და მეორესაც, თუ რუსეთის რევოლიუციის ხელმძღვანელი არის კავკასია, მაშ რუსეთის პროლეტარიატი რის ავანგარდია, არ ვიცი. განაგრძობს ორატორი, რომ პეტროგრადის გამოსვლებს ჩვენ მხარს ვერ დაუჭერთ შეიარაღებული გამოსვლებითო, რადგან ის უბრალო ჯარის შეთქმულობაა და მას მუშების უმცირესი ნაწილიც არ თანაუგრძნობსო, და რევოლიუციონურ კომიტეტს ერთ დღესაც არ შეუძლია გაუძლოს რუსეთის რევოლიუციასო. რას ნიშნავს ასეთი გადმოსროლილი სიტყვები მასაში, თუ არა დემოგოგიას და ერთნაირ თაღლითობას, თუ პეტროგრადის გამოსვლებს დაუჭერთ მხარს, მაშინ, რა თქმა უნდა. დაუჭიროთ ისე, როგორც ამას თვით ცხოვრებას მიმდინარეობა დაგვანახვებს და, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა აღვიაროთ, რომ წინააღმდეგი ხართ რუსეთის რევოლიუციის. მეორე ისა, რომ ცინცაბაძე ამბობს, რევოლიუციონურ კომიტეტს არ შეუძლია ერთ დღესაც რევოლიუციის გაძღოლაო! თუ რუსეთის რევოლიუციას კი მიუძღვოდა პირველ ორ ოვეს საბჭოები და უფრო სასურველად მიმდინარეობდა, ნუ თუ იმავე საბჭოებს არ შეუძლია მიიყვანოს რევოლიუცია დამფუძნებელ კრების მოწვევამდი? მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ არ გინდათ სიმართლის თქმა და მეტს არაფერს. დიდი ხნის კამათის შემდეგ შეატყო ამ. ცინცაბაძემ, რომ ხალხი ბალშევიკ ორატორს უფრო ყურადღებით უსმენდა და ტაშის ცემით აჯილდოვებდენ და იძულებული გახდა დაეთანხმებოდა ყველაფერში, რის შემდეგ დაუბრუნდნენ ისევ კითხვას, რომელზედაც იყო კრება მოწვეული და აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა გამოიმუშავონ ერთ დროული ჯამაგირების გეგმა, სანამ ამას დამფუძნებელი კრება დაადგენდეს და წარადგინონ სადაც ჯერ არს.

შემდეგ იყო ასარჩევი ერთი კაცი, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა. წამოყენებული იყო ორი კანდიდატი: 1, გრ. ცინცაბაძე (მენშ.) 2, ბ. სიხარულიძე, (ბოლშ.). უყ რეს კენჭი, გრ. ცინცაბაძემ მიღო 47 ხმა, მაგრამ თავმჯდომარემ დათვალა 50-ათ. მხოლოდ ბ. სიხარულიძემ მიიღო [63 ხმა რომელიც მან დათვალა 48-ად. თანაც იძახოდა რომ ორივე ხელს ნუ სწევთო, კენჭი ორჯერ უყარეს ორივე ამხანაგებს და თავმჯდომარე ორივე ჯერ ასე მოიქცა, და თუ ამ. ცინცაბაძეს თვითონ არ განეცხადებია, რომ ბ. სიხარულიძე არის გასული დიდი ხმის უმეტესობითო, მგონი თავმჯდომარე

მთელ დღეს მოანდომებდა კენჭის ყრას. ნუ თუ დასაშვებია ასეთი საქციელი მოწინავე მუშიდგან.

მართლის მთქმელი.

## პროვინცია.

**ხიდისთავი** (გურია.) კვირას ს. ხიდისთავში ადგილობრივ ინტერნაციონალისტთა ჯგუფში მოხსენება გააკეთა დელეგატმა ტიტე მშვიდობაძემ კავკასიის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) სიეზდის შესახებ. კრება მოხსენებას სიხარულით შეხვდა. სხვათა შორის ამხანაგ მომხსენებელმა მოგვიწოდა სიეზდის დადგენილების თანახმად გამოვყოფოდით მენშევიკებს და ცალკე ბოლშევიკური ორგანიზაცია შეგვედგინა. მეორე კვირას 29 ღვინობისთვეს მოხდა ზემოხსენებული ჯგუფის კრება. დღის წესრიგში პირველ კითხვათ დაისვა: ცალკე ორგანიზაციის დაარსება. ამ კითხვის შესახებ მოკლეთ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. კალანდაძემ.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენ და მენშევიკების ერთად მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. ცოტა ხნის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: გამოეყოს მენშევიკების ორგანიზაციას და დაარსოს ბოლშევიკური ორგანიზაცია. კრებამ აირჩია პრეზიდიუმი სამი კაცისაგან შემდგარი: 1) ვარდენ კალანდაძე, 2) ელიზბარ კალანდაძე, 3) ვარია კალანდაძე. პრეზიდიუმს დაევალა დეკლარაციის შემუშავება და წარდგენა მენშევიკების ორგანიზაციაში, რაც მესამე დღეს სისრულეში იქნა მოყვანილი.

აი დეკლარაციის შინაარსი: რუსეთის რევოლიუცია მოახდინა მუშათა კლასმა ჯარმა და გლეხკაცობამ და მხოლოთ მათი ინტერესები მოითხოვენ, რომ რევოლიუცია იქნას მიყვანილი თავის ლოღიკურ დასკვნამდე. დანარჩენი კლასები, კლასები ბურჟუაზიული და თავად-აზნაურული გამოდიან მოწინააღმდეგეთ ამ დიადი რევოლიუციისა, მთელი თავიანთი არსებით ცდილობენ მის დასამარებას და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან რევოლიუცია არის უმაღლეს ხარისხამდე მისული კლასთა ბრძოლა, ეს არის მოქალაქობრივი ომი სახელმწიფოში. ყოველივე რევოლიუცია გულისხმობს გამწვავებულ მოქალაქობრივ ომს, ძალა უფლების ხელში ჩაგდებათ, ეს იმი გულისხმობს დამონავებული კლასების აჯანყებას გაბატონებული კლასების წინააღმდეგ, და როდესაც პირველი იჭერს მეორეს ადგილს, როდესაც აჯანყებულთა ხელში გადადის ძალა უფლება სახელმწიფოში, აი ამ დღიდგან სულ უფრო და უფრო ღრმავდება რევოლიუცია, დამონავებულნი მაგრდებიან, გაბატონებულნი კარგვენ პირვანდელ უპირატესობას.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ის პარტიაა, რომელიც მედგრათ იცავს დაბეჩავებულ კლასის ინტერესებს, წინ მიუძღვის ამ კლასს, ხელმძღვანელობს კლასთა ბრძოლას, აღრმავებს უფსკრულს დაბეჩავებულთა და დამბეჩავებელთა შორის, უარყოფს კლასთა თანამშრომლობას, ხელს უწყობს მუშათა და გლეხთა განთავისუფლებას მათი მჩაგვრელებისაგან, მოკლეთ რომ ვსთქვათ, სიტყვით და საქმით დარაჯათ უდგას დაბეჩავებულთ.

როდესაც თვალს ვავლებთ რუსეთის რევოლიუციის ისტორიას, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ რევოლიუციის მამოძრავებელ კლასებს, ე. ი. მუშებს, ჯარს და გლეხობას, ამ გულს რევოლიუციისას, თავს წამოასკუპდა ბურჟუაზიის და მემამულეების მთავრობა. ხალხური რევოლიუცია, ხალხის ინტერესებზე ზრუნვა თავს იდვაიმ მთავრობამ, რომელიც მუდამ ხალხს ებრძოდა ხალხის ინტერესებს უღდა, თავადი ლვოვის, კერენსკის მთავრობა იცავდა მხოლოდ და მხოლოდ მდიდრების ინტერესებს. იგი რევოლიუციონურ სიტყვით, საქმით ყოველთვის ხალხის და რევოლიუციის წინააღმდეგ მოქმედებდა. მენშევიკები წარმოადგენენ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიას, ქადაგებენ კლასთა თანამშრომლობას, ეშინიათ კლასთა ბრძოლის, ერყევიან, მათი წყალობით წამოასკუპდა ხალხს თავზე მდიდართა ინტერესების გამომხატველი მთავრობა და ყველა საბედისწერო კითხვებში მენშევიკები მხარს უჭერენ ასეთ მთავრობას, მათი წყალობით დვიანდება ზავის ჩამოგდება, ნიკოლოზის ხელშეკრულობის გამოაშკარავება, მათი წყალობით დაიწყო კერენსკიმ შეტევა, მათი ლოცვა-კურთხევით შემოიღო იმავე მთავრობამ სიკვდილით სასჯელი, გადადვეს დამფუძნებელი კრების მოწვევა, ვერ მისცეს გლეხებს მიწა, ვერ დააკანონეს მუშებისნთვის რვა საათის სამუშაო დღე, მენშევიკების უმოქმედობამ, გაუბედავმა ნაბიჯმა, შიშმა და რყევამ გააბედვია კარნილოვს აჯანყების დროშის აფრიალება მათი ნებართვით გარეკეს ფინლიანდიის პარლამენტი, მენშევიკებმა დაადასტურეს მთავრობის მიერ ბოლშევიკების დევნა დაიჯერეს საზიზღარი ცილის წამება ბოლშევიკების ლიდერებზე, მათი მკერდით გამაგრებული მთავრობა იჭერდა ხალხის ერთგულ ხალხის შვილებს, ჩაბარეს რევოლიუციონური ჯარი კონტრ-რევოლიუციონურ გენერლებს: ბრუსილოვს, კალედინს, ალექსეევს, კარნილოვს და სხვ. რომლებიც სახელმწიფოს ღალატობდენ ხურავდა ხალხის ინტერესების გამომხატველ გაზეთებს, უკრძალავდა ფრონტზე ჯარის კაცებს მათი ინტერესების გამომხატველი გაზეთით სარგებლობა.

მენშევიკი მინისტრები ისხდნენ სამინისტროში და ყოველივე ზომას გლეხების, მუშების და ჯარის წინააღმდეგ მიმართულს ხელს უწერდენ, აკანონებდენ და ხალხის სახელით ასაღებდენ.

ყოველივე ეს აშკარათ ღაღადებს, რომ მენშევიკების პარტია არ არის სოციალ დემოკრატიული პარტია, ის ვერ დაიცავს რუსეთის რევოლიუციას.

ვიღებთ რა ყოველივე ამას მხედველობაში, ჩვენ ვღიარებთ, რომ ერთად ერთ წმინდა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიათ მიგვაჩნია ბოლშევიკების პარტია, რომელმაც სიტყვით და საქმით დაამტკიცა ხალხის ერთგულობა და რუსეთის რევოლიუციის მოდარაჯეობა ერთხმათ ვადგენთ: გავწყვიტოთ ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირი ხიდისთავის მენშევიკურ ორგანიზაციასთან და ცალკე ბოლშევიკური ორგანიზაცია შევკრათ. ჩვენი ღარიბი გლეხობა მიაგნებს თავის ინტერესების გამომხატველ ბოლშევიკურ პარტიას. ხსნა უფსკრულისაგან, ხსნა შიმშილობისაგან, ხსნა ომისაგან, ხსნა ყველა მყლეფელებისაგან და ყველა კონტრ-რევოლიუციონერებისაგან შეუძლია მხოლოთ ერთად ერთ ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც მუშათა კლასის, ჯარის და გლეხობის პარტიაა.

მაშ გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!

**ელ. ყარაბოღელი.**

# დეპეშები

(ფოსტის მოსამსახურეთა საოლქო კომიტეტის)

**ბიულეტენი № 2, 7 ნოემბერს.**

**ჰელსინგფორსი**, ფინლიანდიაში რევოლიუცია დაიწყო: რკინის გზაზე მიმოსვლა შეწყდა. ნება დართულია მხოლოთ სამხედრო, სასანიტარო და სამხედრო—სარევოლიუციო საჭიროებისათვის დანიშნული მატარებლების მიმოსვლა. 2 ნოემბრიდან გაიხსნა ფინლიანდიის სეიმი, რომელზედაც მიღებულ იქნა კომუნალურ არჩევნების და 8 საათის სამუშაო დღის კანონები. მდგომარეობა გამწვავებულია და გადამწყვეტი შეტაკება მოსალოდნელია; მოწინააღმდეგეთა „თეთრი გვარდია“ კარგათ არის მოწყობილი და შეიარაღებული. რუსეთის ჯარი ფინლიანდიის წითელ გვარდიელებთან ერთად მოქმედებს.

ფრონტზე და ზღვაზე ცვლილება არ მომხდარა: ყველგან სიწყნარეა.

**მოსკოვი.** ბრძოლა ექვს დღეს გაგრძელდა. ყუმბარებისაგან ძალზე დაზიანდა შემდეგი შენობები: ალექსანდრეს სასახლე, ვასილის და მიძინების ტაძრები და სადგური.

31 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე მოპირდაპირეთა შორის მორიგების შემდეგი ხელშეკრულება დაიდვა: საზოგადო მშვიდობიანობის კომიტეტი უნდა დაიშალოს, თეთრმა გვარდიამ იარაღი აიყაროს და მთავრობას დაუბრუნოს, მხოლოთ ოფიცრობა დარჩება თავის თანამდებობაზე იარაღით; საიუნკრო შკოლაში დარჩება მხოლოთ იმდენი იარაღი, რამდენიც საჭიროა სამხედრო საქმის სწავლისათვის და ვარჯიშობისათვის, სხვა კი უნდა ჩაბარდეს მთავრობას.

შედგა სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ ყოველი მოქალაქის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა სავსებით დაცული იქნება; ხოლო იმ კითხვის გადასაწყვეტად, თუ რა წესით ჩამოერთვას იარაღი მოწინააღმდეგეთ, უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევლენ სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის, ავიაციის და იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებმაც მორიგებაში მონაწილეობა მიიღეს,

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის წამიდან ორივე მხრიდან ბრძანება იყო გაცემული, რომ სროლა სრულიად შეეწყვიტათ ქალაქში. ორივე მხარე კისრულობს სასტიკი ზომების მიღებას იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება და წინააღმდეგობას განაგრძობს.

ხელშეკრულობის ძალით ტყვეებს ორივე მხარე ანთავისუფლებს.

მორიგების პირობაზე ხელს აწერენ წარმომადგენლები:

საზოგადო მშვიდობიანობის დამცველ კომიტეტის, კერენსკის მთავრობის შეერთებულ ჯარის ყველ ნაწილის და იუნკრებისა, რ. ს. დ. მ. პ. შეერთებულ ორგანიზაციების, პოლონეთის სოციალისტურ პარტიის, ბუნდის, მოსკოვის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის, სრულიად რუსეთის რკინისგზათა მოსამსახურეების კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის და რ. ს. დ. მ. პ. მოსკოვის ორგანიზაციების საინფორმაციო ბიუროის.

„თეთრი გვარდიის“ წევრები თავის წერილებითი განცხადებაში აღიარებენ, რომ ისინი იბრძოდენ არა რაიმე პოლიტიკური მიზნებისათვის, არამედ სახელმწიფო წესიერების დასამყარებლად.

### კერძო დეპეშა.

(საკუთარი კორესპოდენტისაგან)

**ხ. ლანირ.** ხონის ბოლშევიკური ორგანიზაციის დელეგატის მოხსენების შემდეგ ლარინის ორგანიზაციის საზოგადო კრებამ ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი აღტაცებით ესალმება რუსეთის სოციალისტურ მთავრობას და მზათ არის ყოველივე ძალღონით დაიცვას იგი.

**ქ. ხონი.**

5 ნოემბერს ხონის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციის საზოგადო კრებამ ერთხმათ მიიღო ბოლშევიკების რეზოლიუცია, რომლითაც მოუწოდებენ წევრთ, რომ ყოველივე ძალღონით, თუ საჭიროება მოითხოვს იარაღით ხელში, მედგრათ დაუჭირონ მხარი ახალ რევოლიუციონურ მთავრობას და დაიცვან იგი.

**ხონის ს. დ. მ. პ. კომიტეტი.**


პირველი ნოემბრიდან გაზეთი

# ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოლქის რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.**


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩ.